სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №62

ქ. ბოლნისი **20 ივნისი 2019 წელი**

ერთის მხრივ **ააიპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება"** (ს/კ 225396238) (შემდგომში "შემსყიდველი"), მისი დირექტორი **სოსო კოპალეიშვილი** და მეორეს მხრივ, შპს "დეგაპრინტი" (ს/კ 204444477) (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი წარმომადგენელის - დირექტორის **ლაშა სოხაძის** სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი,

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: 2019 წლის 22 ივნისს ,,საბაობა-2019"-ის აღსანიშნავი ღონისძიებისათვის ბეჭვდის მომსახურეობა გაწევა : CPV 79810000.

№	მომსახურეობის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდ.	ერთე-ულის ღირებ. (ლარი)	საერთო ღირებ. (ლარი)
1	ბანერი (როლაპით 2/0.8)	ცალი	2	30.00	60.00
2	ბანერი (როლაპით 2/2)	ცალი	1	500.00	500,00
3	ბანერი(ჯიბეებით 2/3)	ცალი	1	110.00	110.00
4	აფიშა A1	ცალი	20	7.25	145.00
5	ფლაერი-მოსაწვევი A6	ცალი	200	0.43	86.00
6	ტ.მ.ს ტექსტები	ცალი	30	2.50	75,00
7	ტ.მ.ს. თეორია-ისტორია	ცალი	30.00	3.17	95.10
სულ ჯამი:					**1071.10**

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **1071,10 (ერთი ათას სამოცდათერთმეტი ლარი 10 თეთრი) ლარი.**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურეობის შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3. დაფინანსების წყარო: <u>ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.</u>

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების" კულტურის განყიფილების უფროსი **ნინო ერისთავი).**

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1. მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 20 ივნისს.

6 მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. **შემყიდველი ვალდებულია** ა)განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება. ინსპეტირებისა განახორციელებს ააიპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების" კულტურის განყოფილების უფროსი: **ნინო ერისთავი.**

ბ) უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებითა და პირობებით.

6.2. **მიმწოდებელი ვალდებულია:** ა) უზრუნველყოს მომსახურეობის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ბ) საქონელის ესკიზებისა და მისი დეტალების შეათანხმოს შემსყიდველთან. გ) უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

6.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:** მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელსეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.5. ხელშეკრულების 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან 2019 წლის 31 აგვისტომდე. .

”შემსყიდველი”“”შემსყიდველი” ა(ა)იპ ”ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება” (ს/კ225396238) ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ქ. ბოლნისი. სს. ორბელიანის ქ. №106. ხაზინის ერთიანი ანგარიში , ბ/კ TRESGE22. სახაზინო კოდი :300099921; ორგანიზაციის კოდი: 03020103; პირგასამტეხლო: 748507499. ელ/ფოსტა bolnisiskulturisgaetianeba@gmail.com. ტელ: 0358220064.

”მიმწოდებელი” შპს ”დეგაპრინტი” (ს/კ 204444477) თბილისი. ვირსალაძის ქ. N8 მომსახურე ბანკი: : სს ”თი ბისი ბანკ” ბ/კ TBCBGE22; ა/ა GE41TB0600000101467543

ააიპ ”ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის	**შპს ”დეგაპრინტი”**
საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო	
გაერთიანება”დირექტორი	**დირექტორი**
სოსო კოპალეიშვილი	**ლაშა სოხაძე**
Soso Kopaleishvili Digitally signed by Soso Kopaleishvili Date: 2019.06.20 11:07:09 +04'00'	
----------	----------